აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 27

06 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების: „ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები. ასევე უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

კომისიის წევრმა ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე მასში შეტანილი ყოფილიყო ცვლილება და დღის წესრიგს დამატებოდა ერთი საკითხი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ, ვინაიდან 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14

ნოემბრის განმეორებითი არჩევნებისათვის კვლავ ხდება ბიულეტენების დაბეჭდვა და კანონმდებლობის თანახმად, უნდა მოხდეს ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დასასწრებად კომისიის ორი წევრისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების სამი წარმომადგენელის შერჩევა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე;

(მომხ. ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

6. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

7. საჩივრის განხილვის შესახებ;

(მომხ. გია გარსევანიშვილი)

8. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელია კანონმდებლობით განუსაზღვრელი ვადების უსკო-ს მიერ დადგენილებით განსაზღვრა. ეს ეხება 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის პარტიის რეგისტრაციის საკითხს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, პარტიამ განცხადებით უნდა მიმართოს უსკო-ს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 36-ე დღისა (2008 წლის 3 ნოემბერი) პარტიის რეგისტრაციის შესახებ. კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოსწორების ვადა ეძლევათ ერთი დღე. გარდა ამისა, მომხსენებელმა ისაუბრა საარჩევნო ბლოკების, პარტიების რეგისტრაციებისა და სხვა ვადების შესახებ. ასევე განიხილა

ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ და თამაზ შარმანაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯომარეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 36-ე დღისა (2008 წლის 8 ნოემბერი).

მუხლი 2. პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში პარტიას ეძლევა 1 (ერთი) დღე განცხადებისა და თანდართული მასალების სრულყოფისათვის. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტარციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს სრულყოფილი განცხადებისა და საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

მუხლი 3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკები და გავიდნენ საარჩევნო ბლოკებიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისათვის არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 34-ე დღისა, უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

მუხლი 4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და წესდებას და არა უგვიანეს კომისიაში განცხადების შეტანის დღისა, დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 5. განცხადებისა და თანდართული საბუთების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წერილობით აცნობებს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა მას ეძლევა 1 კალენდარული დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისათვის. შესწორებული განცხადებებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება არაუგვიანეს მათი წარდგენის დღისა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

მუხლი 6. საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტების გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ, წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არაუგვიანეს 35-ე დღისა (2008 წლის 9 ნოემბერი).

მუხლი 7. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 8. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილება ეხება საარჩევნო სუბიექტების მიერ

გახსნილ საარჩევნო ფონდების გახსნის საკითხს. მან აღნიშნა, რომ ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრაში, განმეორებითი კენჭისყრის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინასწარი მონაცენებით მიიღებენ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-8 დღისა საარჩევნო კომისიას დამატებით წარუდგენენ საქართველოს საარჩევნო კოდექსიის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებით კენჭისყრაში, განმეორებითი კენჭისყრის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები რომლებიც წინასწარი მონაცენებით მიიღებენ კანონით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-8 დღისა საარჩევნო კომისიას დამატებით წარუდგენენ საქართველოს საარჩევნო კოდექსიის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის, საქართველოს საარჩევნო კოდექსიის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით

გათვალისწინებული საბოლოო, სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ვადებში და წესით.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული იქნა 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ არჩევნებთან დაკავშირებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, სადაც გაიწერა არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურა და ვადები. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“

ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბერის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის დაფინანსება განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად უმაღლესი საარჩევნო კომისიის განკარგულებით, ამიტომ აუცილებელია, უსკოს მიერ მიღებული იქნას განკარგულება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში

.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 63-ე მუხლის მე-13 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესახამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების დაფინანსების დამტკიცებული გეგმიდან 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრის დაფინასება დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულების პროექტის დანართში არ იყო გათვალისწინებული 2008 წლის 3 ნოემბრის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის აუცილებელი ყველა ხარჯები, რის გამოც კომისიას შესთავაზა მოცემული საკითხი განხილულიყო მომდევნო სხდომისათვის, რათა ეკონომიკურ სამსახურს მოეხდინა არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო ყველა სახის ხარჯების დაკონკრეტება, რაზეც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის მომდევნო სხდომისათვის განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

6. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა კომისიის წევრებს წარუდგინა საარჩევნო ბიულეტენის ფორმის სახე. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ბიულეტენს ექნება 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენის სახე, იმ განსხვავებით რომ აღარ იქნება „არჩევნებიდან მოხსნილია“. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-13 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების ფორმა (№2-07.63.02.) თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. საჩივრის განხილვის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, გია გარსევანიშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“ გენერალური მდივნის მიხეილ დევდარიანის განცხადება №82 შუახევის საარჩევნო კომისიის №61/2008 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ. მომხსენებელმა კომისიას გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის დასკვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ გენერალური მდივნის საჩივარი განუხილველი უნდა დარჩეს გამომდინარე იქიდან, რომ №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება მას უნდა გაესაჩივრებინა შუახევის რაიონულ სასამართლოში და არა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, ასევე აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს და აღნიშნა, რომ ხსენებული საჩივრის არსებით განხილვაში არ უნდა შესულიყო უმაღლესი საარჩევნო კომისია, ვინაიდან საჩივრის არსებითი განხილვის კომპეტენცია საარჩევნო კანონმდევლობის თანახმად უსკოს არ აქვს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა თამაზ შარმანაშვილმა, ლევან გაბრიჩიძემ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“ წარმომადგენელმა.

„ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით საკითხი ეხება აქტის შედგენის სისწორეს, თუ რამდენად სწორედ ჰქონდა №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიას განკარგულება შედგენილი. გარდა ამისა, მოითხოვდა უმაღლეს საარჩევნო კომისიას აღნიშნული საკითხი განეხილა განცხადებაში მითითებული პუნქტების მიხედვით და გაეცათ შესაბამისი პასუხი.

კომისიის წევრმა ლევან გბრიჩიძემ აღნიშნა, რომ ამ დროისათვის №82 შუახევის საარჩევნო ოლქიდან ჯერ კიდევ არ არის შემოსული 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი (პროპორციული და მაჟორიტარული), ამიტომ ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს შემაჯამებელი ოქმების განხილვის შემდეგ.

კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადების განხილვა შედის სასამართლოს კომპეტენციაში და ეს განცხადება შეტანილი უნდა იქნას სასამართლოში და არა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში. ამიტომაც რომ მოხდეს განცხადებაში მითითებულ პუნქტებზე პასუხის გაცემა, ეს უკვე ნიშნავს საქმის განხილვაში შესვლას, რაც კანონმდებლობის გათვალისწინებით არ შედის უმაღლესი საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში.

სხდომაზე სხვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ წინადადება.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

2008 წლის 05 ნოემბერს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა“ გენერალური მდივნის მიხეილ დევდარიანის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ იქნა საჩივარი 2008 წლის 04 ნოემბრის №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის №82 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული საჩივრების დაკმაყოფილების შესახებ №61/2008 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე, იმ მოტივით, რომ სადაო განკარგულება არ არის შედგენილი სრულყოფილად და არ მომხდარა საჩივრების საფუძვლიანი და არსებითი განხილვა და ამ დროისათვის არ არსებობს სხდომის ოქმი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლით განსაზღვრულია საარჩევნო დავის განხილვის ვადა და წესი, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საოლქო სასამართლოში. ,,ახალი თაობა-ახალი ინიციატივას" გენერალურ მდივანს სარჩელით უნდა მიემართა შუახევის რაიონულ სასამართლოსათვის და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის, რაც ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იწვევს საჩივრის განუხილველად დატოვებას.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების, მე-80 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ,,ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" გენერალური მდივნის მიხეილ დევდარიანის ადმინისტრაციული საჩივარი 2008 წლის 04 ნოემბრის №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის №61/2008 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ საკითხი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად, ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის ორ წევრსა და უსკოს მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელ ორგანიზაციებს,

რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებსა და სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუ ვინ გამოთქვამდა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვებისა და დასწრების სურვილს.

აზრი გამოთქვეს: ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ამ დროისათვის შერჩეული არ ჰყავდათ კონკრეტული წარმომადგენლები, რომლებიც დააკვირდებიან აღნიშნულ პროცესს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ვერ მოხერხდა სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების არჩევა ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების მიზნით, აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისათვის.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია